თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 5863473

გაცემის თარიღი: 04/04/2022 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1888108
შემოსვლის თარიღი: 21/03/2022
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 81.08.17.818
- მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 8500.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "სოლო" (406277265)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**
- **IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- მამუკა კაპანაძე პ/ნ 01029014924
- მისამართი: თბილისი მოსკოვის გამზ. N 33 კორ. 4 ბ. 11

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქს: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს **2022 წლის 21 მარტის №AR1888108** განცხადებით მომართა მოქალაქე **მამუკა კაპანაძემ** და მოითხოვა სამსახურის **2021 წლის 15 ოქტომბრის № 5638224** ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ხის გადარგვასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის **2021 წლის 15 ოქტომბრის № 5638224** ბრძანებით, ქალაქ თბილისში, მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელ დიდ ლილოში (ს/კ: №81.08.17.818, ფართობი: 8500 .კვ.მ.) საწყობის (ავტონაწილების საწყობი) აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის **2021 წლის 15 ოქტომბრის № 5638224** ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: 1 ძირი მწვანე ნარავის (მინდვრის ნეკერჩხლის) გადარგვასთან დაკავშირებით

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება **2021 წლის 15 ოქტომბრის № 5638224** ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 29/03/2022 წლის N18-01220882205 წერილის გათვალისწინებით.

1 ძირი მწვანე ნარავის (მინდვრის ნეკერჩხლის) გადარგვასთან დაკავშირებით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა- ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ბრძანება

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის **2021 წლის 15 ოქტომბრის № 5638224** ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. კერძოდ:

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 29/03/2022 წლის N18-01220882205 წერილის გათვალისწინებით.

1 ძირი მწვანე ნარავის (მინდვრის ნეკერჩხლის) გადარგვასთან დაკავშირებით.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის **2021 წლის 15 ოქტომბრის № 5638224** ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მე
  ცხელ ხაზზე -
  2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი


ბანაშენიანების ფაითობი:
2578.82 ს3.მ.
ბ-1 სანბაჰიმო ფაითობი:
2473.55 ს3.მ. (---)
ბ-2 სანბაჰიმო ფაითობი:
2161.58 ს3.მ. (---)
ბ-3 სანბაჰიმო ფაითობი:
1576.40 ს3.მ. (0.2)
სახანძრო მანქანის მოძრაობის მისაწვდომლობა (L=3.80 მ.)
სახანძრო მანქანის მოძრაობის მისაწვდომლობა (L=3.80 მ.)
სახანძრო მანქანის მოძრაობის მისაწვდომლობა (L=3.80 მ.)
სახანძრო მანქანის მოძრაობის მისაწვდომლობა (L=3.80 მ.)
წყლის სახანძრო რეზერვუარი
არსებული ხის №2 (მინდვრის ნეკერჩხალი)-ის გადარგვის ადგილი
წყლის მომარაგების ქსელი დაშორება (სპროექტო) არსებული ქსელიდან 247 მ
81.08.17.723
81.08.17.724
81.08.17.834
81.08.17.179
81.08.17.178
81.08.17.734
+0.00/548.85
+6.80/555.65
-1.10/547.75
გენგეგმა მ 1:500
ინდ. მენარმე
არქიტექტორი
მეპასრული
მისამართი.
ქ. თბილისი, სოფ. დიდი ლილო
ს/ბ 81.08.17.818
არქიტექტურული ნაწილი

წერილის ნომერი: **18-01220771203**
თარიღი: **18/03/2022**
პინი: **7809**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01220701575
წერილის თარიღი:	11 მარტი, 2022
განმცხადებელი:	მამუკა კაპანაძე
განაცხადის N	AR1861141
მისამართი	ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	81.08.17.818
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	საწყობი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №5638224 თარიღი: 15 ოქტომბერი, 2021
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	8500.0
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს "სოლო"
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ სამსახურმა 2022 წლის 07 მარტის #18-0122066753 წერილით უკვე დააფიქსირა პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, მოთხოვნილი 1 ძირი მწვანე ნარგავის (მინდვრის ნეკერჩხლის - N2(D=7.8 სმ)) გადარგვასთან დაკავშირებით განმცხადებელმა უნდა მიმართოს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი;

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-0122066753**
თარიღი: **07/03/2022**
პინი: **7792**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01220561528
წერილის თარიღი:	25 თებერვალი, 2022
განმცხადებელი:	მამუკა კაპანაძე
განაცხადის N	AR1861141
მისამართი	ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	81.08.17.818
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	საწყობი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №5638224 თარიღი: 15 ოქტომბერი, 2021
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	8500.0
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს "სოლო"
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან და მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი; ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის დადგენილებით №13-35 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ,,ნ” ქვეპუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი.

სამსახურის პოზიცია:

წარმოდგენილი გამწვანების პროექტით დგინდება, რომ პროექტის შეთანხმების ეტაპზე დადგა აუცილებლობა დამატებით 1 ძირი მწვანე ნარგავის *(მინდვრის ნეკერჩხლის - N2(D=7.8 სმ)* გადარგვაზე. ამდენად, დაინტერესებულმა პირმა, ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ (რომელიც უნდა მოიცავდეს მწვანე ნარგავ(ებ)ის სრულად ამსახველ ფერად ფოტომასალას), ასევე ინფორმაცია ხეების მოჭრისა და გადარგვის თაობაზე, უნდა წარადგინოს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე.

ასევე გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მოსაჭრელი ხეების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული მერქნიანი მცენარეების 25%, შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მინდვრის ნეკერჩხლის მოჭრასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ მცენარეთა ექსპლიკაციის შესაბამისად საინფორმაციო დაფის ესკიზზე დატანილი უნდა იყოს დასარგავი მცენარეების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. კერძოდ, მათი ხნოვანება, სიმაღლე, გარშემოწერილობა. ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი).

დანართი: 3 (სამი) ფურცელი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



დამკვეთი: შპს "სოლო"
ს.ნ. 406277265

გამწვანების პროექტი



ლანდშაფტის დიზაინერი დ.იმელიშვილი

ქ. თბილისი სოფ. დიდი ლილო
ს.კ 81.08.17.818

დამკვეთი: შპს "სოლო"

განმარტებითი ბარათი
მოცემულ ტეიტორიაზე მომზადებულია
ავტონაწილების საწყობის საპროექტო
დოკუმენტაცია
დადგენილი მინიმალური გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0.1
გაპის ბრძანება № 5638224

მიწის ფართობი 8500 კვ.მ
გასამწვანებელი ფართობი 850კვ.მ
ტერიტორიის გასამწვანებლად გადავწყვიტეთ დავრგოთ
როგორც წიწვოვანი ასევე ფოთლოვანი ხეები აგრეთვე
გადავრგათ არსებული მინდვრის ნეკერჩხალი
დენდროლოგიურ დასკვნაში №2

დაირგვება:
20 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი
მინიმალური სიმაღლე 3.5მ გარშემოწერილობა 20 სმ

10 ძირი ჰიმალაის კედარი
მინიმალური სიმაღლე 3.5მ გარშემოწერილობა 20 სმ



კედარი



ნეკერჩხალი

დასარგავი ხეების გეგმა





ქ. თბილისი სოფელი დიდი ლილო
ს.კ 81.08.17.818

პროექტის დაწყების თარიღი -
პროექტის დასრულების თარიღი მარტი 2024წ

გასამწვანებელი ფართი 850 კვ.მ
მიწის ნაკვეთის ფათობი 8500 კვ.მ

დასარგავი ხეები:
20 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი 3.5-5 მ გარშემოწერლობა 20სმ

10 ძირი ჰიმალაის კედარი 3.5-5 მ გარშემოწერილობა 20სმ

მოვლა პატრონობის ხანგრძლივობა 3 წელი

მოვლა პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი:

შპს "სოლო"

წერილის ნომერი: **18-01211181301**
თარიღი: **28/04/2021**
პინი: **7173**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01211133293
წერილის თარიღი:	23 აპრილი, 2021
განმცხადებელი:	ეთერი წიქორიძე
განაცხადის N	AR1822889
მისამართი	ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	81.08.17.818
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	საწყობი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	ეთერი წიქორიძე
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	ტოპო. გეგმა ფოტოსურათები საექსპერტო დასკვნა
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლი; საქართველოს კანონის

,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 21-ე, 25-ე, 26-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ტოპო.გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მწვანე ნარგავებით (ნუმერაციის მიხედვით) და 3 მეტრიანი მანძილების აღნიშვნით.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

N 37
19.04.2021 წ.

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

მისამართი: ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო;
საკადასტრო კოდი: 81.08.17.818;
ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო სამეურნეო;
ფართობი: 8500.00 კვ.მ;
მესაკუთრე (ები): ეთერი წიქორიძე P/N: 12001067044;

2021 წლის 18 აპრილს ეთერ წიქორიძის (P/N: 12001067044) მომართვის საფუძველზე ექსპერტ მზია ჯიქიას მიერ შესწავლილი იქნა საკადასტრო კოდი: 81.08.17.818, მიწის ნაკვეთზე არსებული **3** ძირი ხე-მცენარის ზოგადი ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც მოცემულია ცხრილში. (N 1)

მწვანე ნარგავების სახეობრივი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები

ცხრილი N 1

	მცენარის სახეობა	D დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე (მ)	მდგომარეობა	შენიშვნა
1	გარგარი (Prúnus)	42	6.5	საღი	ხილკენკროვანი
2	მინდვრის ნეკერჩხალი (Acer Campastre)	7.8	1.3	საღი	მრავალღეროიანი, შესაძლებელია გადარგვა
3	გარგარი (Prúnus)	17.8	5	საღი	ხილკენკროვანი

ტერიტორიაზე არსებული 3 ძირი მცენარის ნუსხა სახეობების მიხედვით:

ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე 1 ძირი:

დაბალი ღირებულების ჯგუფის 1 ძირი:
- **1 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი (Acer Campastre) N 2;**

ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარე 2 ძირი:
- **2 ძირი გარგარი (Prúnus) 1, 3;**

ტერიტორიაზე აღრიცხული 3 ძირი ხე-მცენარე არის საღი.

შპს "ეკო გარემო"

ხე-მცენარის ამოღება და გადარგვა

მცენარეები, რომელთა დიამეტრი არ აღემატება 25 სმ. დიამეტრს შესაძლებელია გადაირგოს როგორც ხელით, ასევე სპეციალური გადამრგველი მანქანით, ხოლო დიდტანიანი (25 სმ. დიამეტრზე მეტი) ხეების გადარგვა უნდა მოხდეს სპეციალური ტექნიკისა და გადამზიდავი მანქანა-დანადგარების საშუალებით.

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში, შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში, ხოლო დიდ ტანიანი ხეების კომს, ასევე უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ყუთი) ფიცრის ან სხვა მასალისაგან (კომი მთლიანად უნდა შეიკრას ყუთით), რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხე-მცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით, რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად.

სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით (დიდ ტანიანი ხეების შემთხვევაში ამწეს გამოყენებით), დარგვის დროს არ უნდა დაიშალოს მიწის კომი, არ დაზიანდეს მცენარის ღერო, ფესვთა სისტემა და ვარჯი.

ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს ფიქსირება რამდენიმე მხრიდან,რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად, ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება.
ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

წიწვოვანი ხეების გადარგვისას გასათვალისწინებელია ტოტების განლაგება მოხდეს ისე, როგორც იყო გადარგვამდე (ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ტოტები ისევ ჩრდილოეთით უნდა განლაგდეს).

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდ იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში.
ხის გადარგვის შემდგომ, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა კვირაში არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ.

თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). მორწყვის საუკეთესო დროა- დილით 11-12 საათამდე და საღამოს- 6 საათის შემდეგ, ასევე უნდა ხდებოდეს მცენარის მიწისზედა ნაწილების დაწვიმება. (ფოთლები, წიწვები) დაწვიმებასთან ერთად შესაძლებელია მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შერევა წყალთან ერთად.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ფოთლოვანი ხის ფესვის ყელიდან ამონაყარის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზე დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ფოტო თან ერთვის

შ.პ.ს. „ეკო გარემო“-ს დირექტორი
შემსრულებელი/ექსპერტი / მ. ჯიქია /

შპს "ეკო გარემო"

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კ.N25,ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71 Email: mziajikia@mail.ru, ecogaremo@gmail.com.

სოფელი დიდი ლილო, ს/კ: **81.08.17.818**





სოფელი დიდი ლილო, ს/კ: **81.08.17.818**





სოფელი დიდი ლილო, ს/კ: **81.08.17.818**





მსურს განგიმარტოთ რომ ვგეგმავ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული #1 და #3 ხეხილის ხეების მოჭრას (გარგარის ხეები), ხოლო #2 ხე-ნარგავი (მინდვრის ნეკერჩხალი) იქნება გადარგული საპროქტო მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე ყველა შესაბამისი წესის და ნორმატივების დაცვით. არსებული ხე-ნარგავების გეგმა იხ. თანდართულ ტოპოგრაფიულ აზომვით ნახაზზე.

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT



დამკვეთი:		მისამართი:	თბილისი, სოფელი დიდი ლილო
პირობითი ნიშნები			ი/მ. ემზარ შენგელია ტელ: 599 53 71 65
		დირექტორი	გ.ლაგვილავა
		შემსრულებელი	გ.ლაგვილავა
		მ. 1:500	თარიღი: 19.04.2021 წ

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT
PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT
PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT